



N04 აპრილი, 2010

სოციალური მომსახურების სააგენტო გათავაზობს, ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით

2010 წლის აპრილის საინფორმაციო ბიულეტენი

სოციალური მომსახურების სააგენტოს სემინარი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ



2010 წლის 29, 30 და 31 მარტს ქ. თბილისში, სასტუმრო „დი-პლაზაში“ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით, ბავშვზე ზრუნვის სამსახურისა და ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ბავშვზე ზრუნვის ტრენინგების ექსპერტებმა ერთობლივი სემინარი ჩაატარეს. სემინარი მიზნად ისახავდა სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონის თანამშრომლებისთვის საკანონმდებლო ცვლილებებისა და 2010 წლის "ბავშვზე ზრუნვისა" და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის" გაცნობას.

სემინარის მსვლელობისას განხილულ იქნა ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობა-მზრუნველობის სფეროში არსებული პროცედურები, ახალი მიდგომები და სამუშაო ფორმები. ასევე, მონაწილეებმა შეაჯამეს 2009 წლის მუშაობის შედეგები და ისაუბრეს იმ პრობლემებსა და სირთულეებზე, რომელიც სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს 2009 წლის მუშაობის პროცესში გამოვლინდა.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, მოადგილეებმა, რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებმა, მთავარმა სპეციალისტებმა, უფროსმა სოციალურმა მუშაკებმა და სოციალურმა მუშაკებმა.

მიზნობრივი სოციალური დახმარების ახალი მოდელი



2010 წლის 25 მარტს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ანდრია ურუმამემ პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრებს მიზნობრივი სოციალური დახმარების განვითარების ახალი მოდელი გააცნო. აღნიშნული მოდელის საფუძველზე, არსებითად იცვლება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების კრიტერიუმების მეთოდოლოგია.

კერძოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის ოჯახის კეთილდღეობის შეფასების მეთოდოლოგიასა და ადმინისტრირების სქემაში. ახალ დეკლარაციაში ოჯახი შეფასდება 9 ბალიანი შკალის მიხედვით. დეკლარაციაში აღარ განიხილება ისეთი მკაცრი კრიტერიუმები, როგორცაა ტელევიზორი, მობილური ტელეფონი, მაცივარი, სარეცხი მანქანა. დეკლარაციაში გათვალისწინებული არ იქნება იურიდიული პირის მიერ ნაჩუქარი ნივთები. ყურადღება გამახვილდება ოჯახში არსებულ ფუფუნების საგნებზე - პლაზმურ-ეკრანიან ტელევიზორზე, მუსიკალურ სისტემაზე, სატელიტურ ანტენაზე, კომპიუტერზე და ასე შემდეგ. დეკლარაციას უნდა

დაემატოს ძირითადი საცხოვრებლის გარდა სხვა ბინის, სახლის, აგარაკის, ავტოფარების, კომერციული ფართის, სამეურნეო ნაგებობების მფლობელობა, თუკი ასეთი რამ ოჯახს გააჩნია. ასევე, ახალ მოდელში გათვალისწინებულია ის, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებში ახალშობილთა სამედიცინო დაზღვევა დაბადებისთანავე ავტომატურად უნდა განხორციელდეს.

მოდელის განხილვისას აღინიშნა, რომ სოციალური მდგომარეობის შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული ოჯახის რომელიმე წევრის სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალო გადაუდებელი ოპერაციის და პერმანენტული მედიკამენტოზური მკურნალობის აუცილებლობაც. ახალი მიზნობრივი სოციალური დახმარების ახალი პროექტი 2010 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდება.

სოციალური მომსახურების სააგენტო სამხმარს უცხადებს პოლონელ ხალხს პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გარდაცვალების გამო



სოციალური მომსახურების სააგენტო გამოხატავს ღრმა მწუხარებას, 2010 წლის 10 აპრილს რუსეთის ქალაქ სმოლენსკში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად საქართველოს მეგობარი ქვეყნის, პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის, მისი მეუღლის და პოლონეთის დელაგაციის სხვა წევრების დაღუპვის გამო.

სააგენტო სამხმარს უცხადებს პოლონეთის პრეზიდენტის და თვითმფრინავის გარდაცვლილი მგზავრების ოჯახებს, ასევე სრულიად პოლონელ ხალხს ამ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

სოციალური მომსახურების სააგენტომ 2009 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინა



2010 წლის 21 აპრილს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ბატონმა ანდრია ურუშაძემ სააგენტოს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად ძველი თბილისი-დიდგორის სოციალური მომსახურების ცენტრში ჟურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე 2009 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს ანგარიში წარმოადგინა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის

მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი ირაკლი გიორგობიანი.

2009 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებზე სააგენტოს მიერ სახელმწიფო გასაცემლების სახით 1 109 543 393 ლარი გაიცა. ამ თანხიდან სახელმწიფო პენსიებმა 808 406 826 ლარი შეადგინა, სოციალურმა დხმარებამ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის 157 916 100 ლარი, დევნილების შემწეობამ 64 964 818 ლარი, სახელმწიფო კომპენსაციებმა და აკადემიურმა სტიპენდიებმა 43 673 902 ლარი. სხვა სოციალური პროგრამებისთვის 34 581 747 ლარი დაიხარჯა.

2009 წელთან შედარებით სახელმწიფო პენსიის მინიმალური ოდენობა დაახლოებით 5 %-ით გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო პენსიებისთვის განკუთვნილი 2010 წლის ბიუჯეტი კი, - დაახლოებით 35 მლნ. ლარით.

2009 წლის დეკემბრის მონაცემებით საქართველოში სახელმწიფო პენსიის მიმღები 838 493 მოქალაქე იყო რეგისტრირებული, მათგან 659 964 - ასაკით პენსიონერი, 139 932 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 35 499 - მარჩენალდაკარგული და 3 098 - პოლიტ-რეპრესირებული.

2009 წლის განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით, სააგენტოს სოციალური აგენტების მიერ ოჯახში განხორცილდა დაახლოებით 800 000 ვიზიტი. 2009 წლის 31 დეკემბრისთვის სოციალური დახმარების მიმღებთა რიცხვმა შეადგინა 420 802 მოქალაქე, (153 434

ოჯახი). სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის მფლობელი კი 806 418 ადამიანი გახდა.

2009 წლის განმავლობაში, საექსპერტო მუშაობისა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან კონსულტაციის შედეგად მომზადდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების მეთოდისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, რაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაში აისახა.

სახელმწიფო გასაცემლების კონტროლის მიზნით სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით შემოწმდა 43 488 მოქალაქე და მათი პირადი საქმეები. ბიუჯეტის სასარგებლოდ დაბრუნებას დაექვემდებარა დაახლოებით 500 000 ლარი. სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი მოკვლევისთვის 22 საქმე გადაეცა.

2009 წლის 1 იანვრიდან სააგენტო ახორციელებს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამას. ამ პროგრამის ფარგლებში 2009 წელს 242 ბავშვი დაუბრუნდა ბავშვთა სახლიდან თავის ოჯახს, ხოლო ამ ოჯახებზე გაცემულმა რეინტეგრაციის თანხამ შეადგინა 1 159 120 ლარი. 290 ბავშვი გადაყვანილი იქნა ბავშვთა სახლიდან მინდობით აღზრდაში, ამ ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 459 360 ლარი დაიხარჯა. 2009 წლის ბოლოსთვის საოჯახო ტიპის სახლში 105 ბავშვი იყო ჩარიცხული.

2009 წლის განმავლობაში მიტოვებული, ან გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი მიენიჭა 140 ბავშვს. ახალი რეგისტრაცია გაიარა 409 შვილის აყვანის მსურველმა ოჯახმა.

2009 წლის განმავლობაში სააგენტოს წერილობით სხვადასხვა საკითხზე მომართა 31 190 მოქალაქემ. სააგენტოს ხელმძღვანელობასთან მიღებაზე იმყოფებოდა დაახლოებით 70 000 მოქალაქე, რომლებმაც მიიღეს ზეპირი, ან წერილობითი კონსულტაცია. სატელეფონო კონსულტაცია კი 25 000 მოქალაქეს გაეწია.

სააგენტოს ვებ-გვერდზე დარეგისტრირდა 995 761 სტუმარი. საშუალოდ ვებ-გვერდს დღეში ჰყავს 100 სტუმარი.

სოციალური პროგრამების დაფინანსებისთვის დაზუსტებულმა გეგმამ 2009 წელს 1 127 944 044 ლარი ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 1 127 556 586 ლარი შეადგინა, რაც სააგენტოს ბიუჯეტის 98.13%-ია.

2009 წლის განმავლობაში სააგენტოში დასაქმებულთა საერთო რიცხვმა შეადგინა 2 012 თანამშრომელი.

სააგენტოს აქვს 70 ოფისი. 2009 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააგენტოს 27 ოფისს, რაც შეადგენს 7 392 კვადრატულ მეტრს.